პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 3 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 96 (794) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

**ორშაბათს, 4-მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია, ტფილისის აღმასკომში, ტფილისის საბჭოს სექციების სხდომა.**

1) კომუნალურის . . . აღმასკომის დარბაზში·
2) საფინანსოსი . ოთახი № 17
3) ჯანმრთელობის . „ № 57
4) განათლების . „ № 32
5) სოფელში მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის . „ № 66

და 6) სამხედროსი . „ № 5

**დღის წესრიგი ყველა სექციებისათვის:**

1) სექციების დებულების გაცნობა,
2) სექციების მუშაობის გეგმა,
3) სექციების ბიუროს არჩევნები,
4) კომისიების არჩევნები

და 5) მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ (უკანასკნელი სექციაში).

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა გამოცხადება დანიშნულ დროზე სავალდებულოა. საბჭოს წევრები, რომელნიც ჯერ არ ჩაწერილან არც ერთი სექციაში ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლათ ამავე დღეს.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი **არ. რუხაძე.**

## სამი მაისი—ბავშვთა დღესასწაულია.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკების ბავშვთა დღესასწაულია. ჩამწკრივებული რიგებით კომუნიზმის მესამე თაობა დღეს გამოვა ქუჩაზე და თავისი წკრიალა ხმით მედგრათ შეარყევს ჰაერს: „მუდამ მზადა ვარ“! სამი მაისი ბავშვებისათვის იგივეა, რაც მუშებისა და გლეხებისათვის პირველი მაისი. როგორც პირველ მაისს ყველა ქვეყნის მშრომელნი მტკიცედ შეჰფიცებენ ერთმანეთს ძმობას და ერთგულებას კაპიტალიზმის მონობისაგან განთავისუფლების საქმეში, ისე მცირე წლოვანი, ნორჩი თაობა ფიცს დასდებს დღეს მუშებისა და გლეხების წინაშე, რომ ის მედგრად განაგრძობს ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს და მის მიერ ნაჩვენებ გზით მიიყვანს მას საბოლოო გამარჯვებამდე. დიდი და ურიცხველია კომუნიზმის არმია. რაც დღე მიდის მით უფრო და უფრო იზრდება ის.

კომუნისტურ მოძრაობამ თავის ფერხულში ჩაითრია არა მარტო მშრომელთა მასების უფროსი და ახალგაზრდა თაობა, არამედ ბავშვებიც.

ყოველ წლიურად ჩვენ ვამჩნევთ თუ როგორი სისწრაფით იზრდება და ვითარდება პიონერთა მოძრაობა, თუ როგორ ღრმად ითვისებენ ოქტომბრის ბავშვები კომუნიზმის იდეებს. ეს ერთ-ერთი ჩვენი უდიდესი მიღწევათაგანია. ჩვენი ამოცანას შეადგენს მეტი ყურადღება მივაქციოთ მათ კომუნისტურად აღზრდის საქმეს და შევქმნათ საამისო პირობები. ბავშვები ჩვენი იმედია, ჩვენი მომავალი, კომუნიზმის ყვავილები. ამიტომაც მათი სამი მაისი ისეთივე ძვირფასი არის ჩვენთვის, როგორც მათთვის. სამი მაისი გვაჩვენებს ჩვენ თუ რამდენათ გაიზარდა მცირე წლოვანთა მოძრაობა, თუ რა მიღწევები გვაქვს ჩვენ მათი აღზრდის საქმეში.

ძვირფასია ეს დღე აგრეთვე წითელ არმიისათვის წითელი არმია დიდი მეგობარია ბავშვების. ბევრ მის ნაწილებს აღებული აქვს შეფობა პიონერთა ორგანიზაციებზე. წითელი არმია დიდათ დაინტერესებულია ბავშვთა სათანადოთ აღზრდის საქმეში, ვინაიდან ისინი არიან რევოლიუციის მომავალი ჯარისკაცები. ამიტომაც წითელ ჯარმაც უნდა მიიღოს ამ ბრწყინვალე დღესასწაულში აქტიური და მხურვალე მონაწილეობა.

ყველამ შევიყაროთ თავი ნორჩ თაობის ტრიბუნის გარშემო!

და მათთან ერთად მედგრად დავსძახოთ:

გაუმარჯოს ლენინის საქმეს!

წინ უშიშრად კომუნიზმისაკენ!

# ახალი რადიო-ამბები

## პირველი მაისი ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

### ლიტვაში.

გაზეთებიდან მიღებულ ცნობით ლიტვის პოლიციამ დაიჭირა კომუნისტების საპირველმაისო კრება. კრებაზე მონაწილე ასი კაციდან დაპატიმრებულ იქნა 40 კაცი.

### შეერთებულ შტატებში.

1 მაისს პოლიციამ გაჩხრიკა „ჟურკერის პარტი“-ს ცენტრალური კომიტეტის ბინა და ჩამოართვა აღმოჩენილი ლიტერატურა. მიღებულ იქნა „სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები პოლიციის აზრით პირველ მაისს მოსალოდნელ „ძალმომრეობის მოქმედების“ წინააღმდეგ.

### საბერძნეთში.

კომპარტიის ცეკამ და შრომის მთავარმა კონფედერაციამ პროტესტი განაცხადეს მანიფესტაციებისა და მუშათა კრებების აკრძალვის წინააღმდეგ. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო დღესასწაულის აკრძალვის ცხოვრებაში ჩასატარებლად.

### ბულგარეთში.

ბულგარეთის სოციალისტურმა პარტიამ ბულგარეთის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო დაადგინა არ იუქმონ პირველი მაისი.

### საფრანგეთში.

ჰავასიის სააგენტო იუწყება, რომ პირველი მაისი მშვიდობიანად მიმდინარეობს.

სხვა და სხვა ქალაქებში დააპატიმრეს რამოდენიმე კაცი ანტიმილიტარისტულ მოწოდებებით, რომლებიც უნდა გაევრცელებიათ ჯარში.

დააპატიმრეს კომპარტიის გაზეთ „ჰუმანიტეს“ 2 რედაქტორი. პოლიციამ ჩამოართვა მათ ფოტოგრაფიული აპარატები.

### გერმანიაში.

ბერლინში პირველ მაისისთვის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება არ ემუშავათ და გამოსულიყვნენ ქუჩებში სადემონსტრაციოდ.

სოციალ-დემოკრატებმაც გამოუშვეს მოწოდება არ ემუშავათ და მოეწყოთ კრებები დახურულ ბინებზე.

კომპარტიისა და პროფკავშირების გაერთიანებათა მოწოდებები მიმართული არიან მეტ ნაწილად ჰინდენბურგის წინააღმდეგ.

გაიმართა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 80.000-დე კაცი რამოდენიმე ასეული წითელი დროშებით. სიტყვებით გამოდიოდენ მხოლოდ კომპარტიის ბელადები.

მიუნხენის პოლიციამ აკრძალა დემონსტრაციები პირველ მაისს.

## საპირველმაისო მზადება პოლონეთში.

1-ლ მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით პოლონეთში სწარმოებდა მასიური დაპატიმრება. ფაბრიკებში დადიოდა ხმები, რომ დემონსტრაციას სისხლის ღვრა მოჰყვებაო.

პოლონეთის სოციალისტები აფრთხილებდენ მუშებს, რომ საშიშია კომუნისტების მანიფესტაციებში მონაწილეობაო.

კომპარტიის ცეკამ გამოუშვა სამაისო მანიფესტი გაზეთ „კრასნოე ზნამია“-ში.

## გამოძახილი ლიუტერის სიტყვაზე

საფრანგეთის პოლიტიკური წრეები რეიხსკანცლერ ლიუტერის სიტყვაში ხედავენ იმის ნიშანს, რომ გერმანიის მთავრობა გააგრძელებს თავის ძველ საგარეო პოლიტიკას ჰინდენბურგთან შეთანხმებით, რომელთანაც, როგორც სჩანს, უთათბირია ლიუტერს გამოსვლის წინ.

## სოფიის ტაძრის აფეთქების გარშემო.

### საბრალმდებლო ოქმი.

სოფიის ტაძრის აფეთქებაში ბრალდებულ პირებს ჩააბარეს საბრალმდებლო ოქმი.

ოქმში აღნიშნულია ერთიანი ფრონტის განვითარების ისტორია, რომლის მიზანს შეადგენდა არსებული მთავრობის ჩამოგდება.

ოქმი ამტკიცებს, რომ ბულგარეთის კომპარტიის დაშლის შემდეგ შესდგა ორი საიდუმლო კომიტეტი.

პირველი შესდგებოდა კომუნისტებისაგან, მეორე გლეხთა პარტიის წევრებისაგან.

ეს გაერთიანებული კომიტეტები აწყობდენ ვითომც ტერორისტულ აქტებს.

## „1-ლი მაისი“.

**„პრავდას“ წერილი**

დღეს მთელ რიგ ქვეყნებში ბურჟუაზია სასტიკი რისხვით მოევლინება მუშებს.

აშკარად და გაბედულად აღიმაღლებენ პროლეტარები თავის მჭექარე ხმას კაპიტალისტური ყაჩაღობის, მილიტარიზმის საშინელების, წყეული კაპიტალისტური ყვლეფის და ახალ გამანადგურებელ ომის წინააღმდეგ, რომელიც მზადდება ბანკების წყნარ კაბინეტებში, გენშტაბების საიდუმლო ოთახებში, სწავლულთა ლაბორატორიებში, სადაც აკეთებენ ცდებს ბაჟიებზე, თუ როგორ მოსწამლონ ადამიანები უფრო ადვილად. და ძლიერი სახელმწიფო აპარატის მთელი ძალით უსწორდება ბურჟუაზია მუშებს იქ, სადაც გათელილია მუშათა რიგები, სადაც საშინლად იწრიტება სისხლისაგან დიადი მუშათა კლასის სხეული, სადაც მატლებივით ფუსფუსებენ გამყიდველთა ბანდები; სასტიკად უსწორდებიან მშრომელთ ისინი, ვინც ნადავლს ეძებს ბრძოლის შემდეგ, ვინც, როგორც ლაქუცა ფინია, სისხლის ლაქებს ლოკავს ცანკოვის ჩექმებზე, ისინი ვინც ლებულობენ ფეშქაშებს მსუქან ბარმატებისაგან, რომლებიც იწოდებიან სოციალ—დემოკრატებად იმიტომ, რომ სოციალიზმს ახურდავებენ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, ხოლო ბურჟუაზიულ დემოკრატიას კი ჰყიდიან კონტრ-რევოლიუციონურ გენერლებთან.

მუშათა კლასის გმირებს, რომელთა წინააღმდეგ, მომართულია დღეს ტყვიამფრქვევები, მის მებრძოლთ, რომლებიც არაჩხუნებენ ბორკილებს ციხეებში კლასობრივი ბრძოლის რაინდულ მებაირახტრეებს, რომლებიც მშვიდად და უშიშრად უცქერიან სახეში სიკვდილს და უკქერიან ჩვენი მსოფლიო დღესასწაულის დღესაც—კიდევ და კიდევ ჩვენი სალამი. ბევრი მათგანი ვერ გაიგონებენ მას. ბევრს მისწვდება უკვე ჯალათის ხელი, ტყვია ან თოკი თავისას იზამს.

იქ, სადაც მუშათა კლასს კი შეუძლია ადგომა დღეს ძლიერი პროტესტით ჯალათის სახესავით გაშმაგებულ და დაღრეჭილ თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რომელმაც იცის რომ ახლოსაა მისი აღსასრული.

ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე, რომლებიც მოპოებულია სისხლით, გაივლიან წითელი დროშებით მილიონობით მშრომელები.

1-ლი მაისი, რომელსაც იცნობდა წინად ერთი მუჭა მოწინავე მუშები, გახდება მთელი ქვეყნის მშრომელთა საერთო დღესასწაულად. მუშა და გლეხი, მშრომელი ქალაქი და მშრომელი სოფელი, ქალები და კაცები, დედები და ბავშვები, მიდიან თავიანთი დროშებით მხარ და მხარ, ხელიხელში და ხიშტი-ხიშტზე. ულენინოდ, მაგრამ იმავ დროს ლენინთან ერთად მივდივართ ჩვენ მტკიცე ნაბიჯით დიადი მიზნისაკენ.

ჩვენი ძალების დღევანდელი გასინჯვა ერთხელ კიდევ დაანახებს ჩვენს მტრებს, რის გაკეთება შეუძლია პროლეტარიატს, თუ რომ ის დაიწყებს ბრძოლას თავის, და არა სხვისი საქმისთვის.

დეე, უფრო ხმა მაღლა და ძლევამოსილად გაისმას დღეს ჩვენი ბრძოლის ყიჟინა:

**„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“**

პროკურატურა მოითხოვს ბრალდებულთა სასტიკად დასჯას.

გამოწვეულია 45 მოწმე.

## ფხიზელი წინადადება.

### თუ ჩვენ გვსურს დაგვეხმაროს რუსეთი, აუცილებლათ უნდა დავეხმაროთ მას.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის კრედიტორთა საზოგადოების დამაარსებელთა ერთმა წევრმა ტალბოტმა თავი დაანება ამ ორგანიზაციას უკანასკნელის შემცდარი შეხედულების გამო და წინადადება შეიტანა დაარსებულ იქნას ინგლის-რუსეთის მომრიგებელი საზოგადოება.

ტალბოტმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის პრეტენზიების საკითხი რუსეთისადმი არც იმდენად ძნელია, როგორც ამას შეცდომით ფიქრობენო.

„საბჭოთა მთავრობა, განაცხადა მან, დიდის სიამოვნებით შეგვიწყობს ხელს ბრიტანეთის კრედიტორებთან შეთანხმების ცდებში.

თუ ჩვენ გვსურს დაგვეხმაროს რუსეთი, აუცილებლად უნდა დავეხმაროთ მას."

## პაშიჩის კაბინეტის გადადგომა.

სამხრეთ სლავიის პრემიერმა პაშიჩმა გადასცა მეფეს ფორმალური თხოვნა მთავრობის გადადგომის შესახებ კაბინეტის გადაკეთების მიზნით.

თუ როგორი კაბინეტი უნდა შესდგეს ჯერ გამოურკვეველია.

## ბელგიის მომავალი კაბინეტის გარშემო.

დე-ბროკვილს განზრახული აქვს შეადგინოს ბელგიის კაბინეტი, რომელშიაც უნდა შევიდეს კათოლიკების საპარლამენტო ფრაქციის წევრები და რამოდენიმე არა საპარლამენტო წევრები.

დე-ბროკვილს იმედი აქვს ლიბერალურ პარტიის დახმარების, რომელიც მისცემს მას პარლამენტში უმნიშვნელო უმრავლესობას.

## ჩერჩილის თავხედური განცხადება.

თემთა პალატაში ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს ჩერჩილმა დ ზღვევის გეგმის შესახებ განაცხადა: „როგორც ტრედ-იუნიონების, ისე მეპატრონეების ინტერესები მოითხოვს იმ წესის აღმოფხვრას, როცა მუშებს ჩვეულებად ექცევა გამოსძებნონ საშუალებანი, რომ უფრო ადვილად მიიღონ უმუშევრებმა დახმარება".

ჩერჩილის განცხადებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებში, რომლებიც მოითხოვდენ უკანვე წაეღო ჩერჩილს ეს სიტყვები, მაგრამ ჩერჩილმა უარი განაცხადა.

ხმაურობა და გინება გაგრძელდა ნახ. საათი, რის გამოც მთავრობის წევრთა უმეტესობა და მათ რიცხვში ჩერჩილიც იძულებული შეიქნა დატოვებიათ დარბაზი.

## გერმანიის უზრუნველყოფის საკითხი.

გერმანიის მემარჯვენე პრესის ნაწილი არჩევს საკითხს უზრუნველყოფის შესახებ.

„გერმანია—ამბობს ის—წარმოადგენს ევროპის აღმოსავლეთით კედელს საბჭოთა კავშირის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

გერმანიასა და ინგლის—საქსონიის ქვეყნებს შორის კავშირი კომინტერნის წინააღმდეგ მოითხოვს დოუესის გეგმის გადასინჯვას გერმანიის გაძლიერების სასარგებლოთ მოსკოვიდან შემოტევის შემთხვევისთვისო".

ნაციონალისტური ოფიციალური პრესა აძლიერებს თავის გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მემარჯვენე პრესა ბულგარეთის, ჩინეთის, პარიზის და ინდოეთის შემთხვევებში ბრალს სდებს მოსკოვს.

შეეფერი „ბერლინერ ტაგებლატტში" ამტკიცებს გერმანიის დ სავლეთ ორიენტაციის მიზანშეუწონლობას. მისი აზრით მიზანშეწონილი იქნება გერმანიის ორიენტაცია აღმოსავლეთისკენ, ვინაიდან საბჭოთა რუსეთს და გერმანიას საერთო ინტერესები აქვსო.

# სამხედრო საქმე

## რა არის ჯარის რიგებს გარეშე მომზადება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მომავალ ომებში იბრძოლებენ არა მარტო არმიები მათი მრავალრიცხოვანი რეზერვებით, არამედ მთელი შეიარაღებული ხალხი. აქედან გამოდის, რომ ყოველმა ბრძოლის უნარიანმა მამაკაცმა ჯერ კიდევ მშვიდობიან დროსვე უნდა შეისწავლოს სამხედრო საქმე. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სამხედრო საქმისათვის ყველა ვარგებული და უვარგისი გავატაროთ ჩვენი არმიის რიგებში. მართალი ვსთქვათ, არამც თუ მხოლოდ ჩვენ, არამედ თვით მდიდარ სახელმწიფოებსაც არ შეუძლიათ ეს.

როგორია გამოსავალი ამ მდგომარეობიდან?

ცხადია უნდა გამოძებნილიყო ისეთი საშუალება, რომლის შემწეობით მშრომელთა საბრძოლო მომზადება რაც შეიძლება უფრო იაფი დამჯდარიყო, რომ თვით მშრომელები დიდი ხნით არ მოშორებოდენ მშვიდობიან შრომას და, ბოლოს, ასეთი მომზადების შედეგები საუკეთესო—ყოფილიყო. მომზადების ასეთ წესს ეწოდება ჯარის გარეშე მომზადების წესი, იმიტომ რომ მშრომლებს ასწავლიან სამხედრო საქმეს არმიის რიგებს გარეთ, სახელმწიფოს მიერ შედარებით ცოტა ხარჯების გაღებით.

ყოველ წლიური გაწვევა ავსებს ძირითად ნაწილებს და ტერნაწილების კადრებს, შემდეგ ყოველი გაწვევის 25 პროცენტი ირიცხება ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობაში და მაინც რჩება გაწვეულთა ზედმეტი რაოდენობა, რომელიც არ უნდა დარჩეს მოუმზადებელი სამხედრო საქმეში.

გაწვეულთა ამ ზედმეტ რაოდენობაში იწარმოებს სწავლება ჯარის გარეშე მომზადების წესით.

თუ მხედველობაში მივიღებთ სათადარიგოთა დიდ რაოდენობას, რომელიც ხან გამოშვებით მოითხოვს თავის ცოდნის განახლებას და სამხედრო საქმის გაუმჯობესებულ ახალ საშუალებათა გაცნობას, ცხადი და აშკარა გახდება, თუ რა დიდი სერიოზული ამოცანა სდგას სახელმწიფოს წინაშე ამ დიდძალ სათადარიგოთა რაოდენობის გადამზადების სახით.

იმავე, ხარჯების შემცირებისა და მოსახლეობისათვის სამხედრო ბეგრის შემსუბუქების მიზნით, სათადარიგოთა გადამზადება უნდა ჩატარდეს ჯარის გარეშე მომზადების წესით.

ბოლოს, სამხედრო საქმის გართულება ერთის მხრივ, ხოლო ნამდვილი სამსახურის ვადის შემცირება—მეორეს მხრივ მოითხოვს, რათა არმიაში გამოსაწვევმა გაიაროს დაწყებითი სამხედრო მომზადება. ეს მომზადება მეტად მნიშვნელოვანია ტერნაწილებისათვის, სადაც ტერ-არმიელი სწავლობს მხოლოდ 8 თვეს (5 წლის მანძილზე). აქ იბადება აუცილებლობა წვევამდელთა მომზადებისა, რომელიც ტარდება აგრეთვე ჯარის გარეშე მომზადების წესით.

ამ რიგად ჯარის გარეშე მომზადება უნდა გაიარონ გაწვევის დროს დარჩენილმა ზედმეტმა რაოდენობამ, სათადარიგოებმა და წვევამდელებმა.

მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა და უფრო კი მატერიალურ სახსარის სიმცირის გამო, მოგვიხდება მიმდინარე წელში დავკმაყოფილდეთ მხოლოდ წვევამდელთა მომზადებით, სადაც პირველ რიგში მომზადებულ უნდა იქნან ისინი, რომლებსაც უწევს ტერნაწილებში ჩარიცხვა.

თუ როგორ ტარდება წვევამდელთა მომზადება და როგორია მისი ჩატარების თავისებურობა მიმდინარე წელში—ამის შესახებ სხვა წერილში.

ვ.

## მონარქისტულ საფრთხის წინააღმდეგ.

პრუსიის ლანდტაგში კომპარტიის წარმომადგენლებმა კვლავ წამოაყენეს მინიმალური მოთხოვნილება მონარქისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ გეილმანმა განაცხადა, რომ კომპარტიის მინიმალური მოთხოვნილება წარმოადგენს საფუძველს მოლაპარაკებისათვისო.

## სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა.

რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა, რომელიც მოითხოვს გერმანიის მთავრობისაგან ნათელყოს თავისი პოზიცია საგარეო პოლიტიკის საქმეში ჰინდენბურგის არჩევის შემდეგ.

## მემარჯვენეებმა დაიწყეს.

გერმანიის მემარჯვენე პარტიების ბლოკი ამზადებს ხალხის დაკითხვის საქმეს ყოფილი გერმანიის იმპერიის ფერადი: „ფლაგის" აღდგენის შესახებ.

## მარქსის მოწოდება.

მარქსმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ის მადლობას სწირავს რესპუბლიკანურ ბლოკის ამომრჩევლებს. მოწოდებაში ნათქვამია:

„სახელმწიფოსა და მუშათა კლასის ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედება კომპარტიისა, და აგრეთვე ამომრჩეველთა მასების პოლიტიკისადმი გულგრილობამ მიანიჭა ჰინდენბურგს უმტესობა.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის მდგომარეობა და რწმენა რესპუბლიკაში აერთიანებს ჩემს მომხრეებს შემდეგ ბრძოლაში."

შემდეგ მარქსი ესალმება ჰინდენბურგს და გამოსთქვამს იმედს, რომ მისი მთავრობა მოუტანს გერმანიას შინაურსა და საგარეო მშვიდობიანობას.

## წინადადება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

### დასავლეთის მუშებში თანდათან ძლიერდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.

მიუნხენის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა ყრილობამ, რომელიც მოწვეული იყო გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების მიერ, მიიღო სოციალ-დემოკრატების მიერ შეტანილი წინადადება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატმა აღნიშნა გერმანიის მუშათა ინტერესების გაძლიერება საბჭოთა კავშირისადმი, რაიც გამოიწვია ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის მოხსენებამ საბჭოთა კავშირის შესახებ.

## ბელორუსიის პარტიზანების გასამართლება.

გროდნოში დასრულდა ბელორუსიის პარტიზანების გასამართლება. ერთს მიუსაჯეს 12 წლის კატორღა. 58 კაცს—წლინახევრიდან ერთ წლამდის კატორღა, დანარჩენები გამართლებულ იქნა.

## ქიმიური იარაღის უპირატესობანი.

დღეს, როცა ყველასათვის აშკარაა, რომ მომავალი ომი იქნება ომი გაზით, ქიმიური, როცა მშვიდობიან მშრომელ მოსახლეობასაც კი ბევრი გაუგონია და ესმის მხუთავი გაზების შესახებ, ყველასათვის აუცილებელია იცოდენ: „რაში გამოიხატება ახალი „ქიმიური" იარაღის უპირატესობა ძველ იარაღთან შედარებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს იცოდეს მეომრებმა, ვინაიდან თვითონ მათ მოუხდებათ ამ ახალი იარაღის ხმარება და მისგან თავდაცვა.

ამისათვის განვიხილოთ უმთავრესი განსხვავებანი ძველსა და ახალი იარაღის თვისებებს შორის.

პირველ ყოვლისა არსებითი განსხვავება მათ შორის მდგომარეობს ამ იარაღების მოქმედების ხანგრძლივობაში. შევადაროდ ორი არტილერიის ყუმბარა: ერთი დამზადებულია ამაფეთქებელი ნივთიერებით, მაგ. მელინიტით ან ტროტილით, ხოლო მეორე შხამიანი გაზით.

პირველი მათგანი საშიშია მხოლოდ აფეთქების მომენტში, როცა ის თავისი ნამტვრევებით და გაზით (ხოლო გაზი მცირეა და თითქმის არც არის შხამიანი) მუსრავს ახლო მყოფ საგნებს.

ასეთი აფეთქება ერთი წამიც (секунда) კი არ გრძელდება, ხოლო ყუმბარის ნამტვრევები ერთი წუთის შემდეგ უკვე სრულიად უვნებია. გათავდა აფეთქება და ერთ წუთში გაიარა საშიშროებამ, ხოლო ყუმბარის ნამტვრევები შეიძლება აკრებილ იქნას იქავე, როგორც მასალა ახალი ყუმბარების ან მშვიდობიანი გუთნების, ცელებისა და სხვა რამეების დასამზადებლად.

სულ სხვა მდგომარეობა „ქიმიურ—გაზიანი ყუმბარის" აფეთქების დროს.

აფეთქების მომენტში ისიც მუსრავს გარემოს თავისი ნამტრევებით, როგორც პირველი ყუმბარა, მაგრამ მისი სასიკვდილო მოქმედება აქით არ განისაზღვრება: ის უშვებს ჰაერში და მიწაზე თავის შხამიან გაზს. ხოლო გაზის მოქმედება თავდება არა ერთ წუთში. ჰაერში გაჩენილი მძიმე, სასიკვდილო გაზი ეშვება მიწაზე და სწამლავს მას დიდი ხნით. ამ რიგად მოწამლული მიწიდან გაზი ორთქლდება შემდეგ მთელი კვირაობით ჰაერში, სწამლავს და ხდის მას მომაკვდინებლად და მავნედ ადამიანისათვის.

არიან გაზები, რომლებიც სწამლავენ მიწას ერთი, ორი კვირით და მთელი თვეებით. ასეთ მოწამლულ მიწაზე არ შეიძლება არც გავლა და არც წყლის სმა: ადამიანი, ცხოველი, მცენარე—ყოველი ცოცხალი არსება იღუპება მოწამლულ არეში. ქიმიური იარაღის ამ ხანგრძლივ მომწამვლელ მოქმედებაში მდგომარეობს მისი პირველი უპირატესობა ძველ იარაღთან.

გაზების სხვა უპირატესობებს ჩვენ განვიხილავთ შემდეგ წერილში.

ლ. ვორონოვი.

# მფრინავის პირველი იუბილე ამიერ კავკასიაში.

დღეს უსრულდება 15 წელიწადი პირველ ქართველ მფრინავ ბ. ქებურიას, რაც ის ფრენოსნობის დარგში მუშაობს, რომლის აღსანიშნავად საქ. ფრენოსნობის მეგობართა საზოგადოება მას იუბილეს უმართავს.

მფრინავ ქებურიას პიროვნება საკმარისად ცნობილია არამც თუ ჩვენში, არამედ მთელს საკავშირო მაშტაბშიაც.

იუბილიარი ბესარიონ ქებურია დაიბადა 1877 წელს ზუგდიდის მაზრაში ულარიბეს გლეხის ოჯახში.

მან ჯერ პატარაობიდანვე გამოიჩინა ნიჭი და სიყვარული ყოველივე ტეხნიკური დაწინაურებაში.

ამ საუკუნის დასაწყისში გამოგონილი ჰაეროპლანებით ფრენოსნობამ საშინლად გაიტაცა ის და 1909 წ. ცნობილი ბლერიოს მიერ ლამანშის სრუტეს გადაფრენის შემდეგ, ქებურია მიემგზავრება საფრანგეთში ფრენოსნობის შესასწავლად, სადაც ბლერიოს სკოლაში პარიზში, საუცხოვოთ შეისწავლა, როგორც პრაქტიკული ფრენა, ისე მთელი მანქანის კონსტრუქცია.

შემდეგ მან შეიძინა ბლერიოს ჰაეროპლანი და დაბრუნებისას მართავს პირველად დიდის წარმატებით ფრენებს რუსეთის ქალაქებში, მაგრამ სანამ მან ტფილისს მოაღწია, მისი ისედაც უძლური მოტორი (მრავა) იმდენად გაცვდა, რომ მით ფრენა საშიში იყო.

ამიტომ მან 1910 წ. მიანება რა თავი თავის ფრანგულ მანქანას, შეუდგა საკუთარი სისტემის ჰაეროპლანის აშენებას, რასაც წარჩინებით მიაღწია ბევრი ტანჯვა წვალებისა და მარცხის შემდეგ.

თავისი ჰაეროპლანის უპირატესობა, რომელიც გამოიხატებოდა მისი სისწრაფეში, სიმსუბუქეში და სილამაზეში, შედარებით არსებულ მანქანებთან, ქებურიამ დაამტკიცა თავისი მოხდენილ ფრენებით როგორც ტფილისში ისე დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც.

იმპერიალისტური ომის დროს ქებურია მიიწვიეს როგორც კონსტრუქტორი პეტერბურგში მერე მსახურობდა პირველი კავკასიის საფრენოსნო რაზმის ტეხნიკური ნაწილის გამგეთ და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ-გულმოდგინეთ ხელს უწყობს საბჭოთა ფრენოსნობის აღორძინება განვითარებას ჩვენი მშრომელთა სასარგებლოდ და საკეთილდღეოთ იქნება ეს გამოყენებული სამხედრო თუ სამოქალაქო დარგში.

ამნაირათ ის დაუღალავი ენერგია და ღვაწლი რომელიც მიუძღვის ფრენოსნობისადმი პატივცემულ იუბილიარს 15 წ. მუშაობით მეტადრე ასეთი ძნელი და სახიფათო დარგში, როგორც არის ავიაცია, უაღრესათ ღირსია იმ პატივცემისა, რომელსაც გაუწევს მას იუბილეის დღეს როგორც ჩვენი საბჭოთა მთავრობა და ფრენოსნობის დაწესებულება, ისე ყველა პატიოსანი და შეგნებული მშრომელი მოქალაქე.

უსურვებთ მას ჯანმრთელობას, რათა განაგრძოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა ფრენოსნობაში, საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ.

იუბილეს საქართველოს ს. ფ. მ. ს. გადაუხდის დღეს კინო თვითმფრინავში. პლეხანოვის პრ. № 105.

ქ. ბარამიძე.



## ჩვენი სასროლო კაბინეთი.

1-ლ ლეგ. უნცროს მეთაურთა სკოლა.

უკვე კარგა ხანია მას შემდეგ რაც აღნიშნულ ლეგიონში საფუძველი ჩაეყარა უნცროს მეთაურთა სკოლას, სადაც დღემდე შეუჩერებლად სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა.

თავიდანვე გვქონდა დიდი სურვილი დაგვეარსებია სკოლაში სროლის კაბინეთი.

სურვილი როგორც იქნა შევისრულეთ. კაბინეთი მშვენივრად მოვაწყვეთ. ის დაყოფილია რამოდენიმე განყოფილებებად: პირველ განყოფილებაში ვრცლად არის წარმოდგენილი თოფი თავისი ნაწილებით—სურათებში. შემდეგში—მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები, ვაზნების ჩამწყობი დაზგა, ხელით სასროლი ყუმბარები, სხვა და სხვა რუქები, გეგმები, წესდებები და სხვა.

კაბინეთი მუდამ სავსეა წითელ არმიელებით და მეცადინეობენ ჯგუფ-ჯგუფად სხვა და სხვა იარაღებზე. რიგრიგობით თითეულად მოყვებიან სხვა და სხვა იარაღების ნაწილების ჩამოთვლას. სხვები ყურს უგდებენ და შეცდომებსაც კი უსწორებენ ერთმანეთს.

ასე კოლექტიურად სწარმოებს კაბინეთში იარაღების შესწავლა, რასაც დღე და დღე მეტი სარგებლობა და ნაყოფი მოაქვს არმიელებისათვის.

ახკორი ჩუტლაშვილი.

## პირველი ცდა ნაყოფიერად ჩატარდა.

პირველი ლეგიონი.

დღეს პირველად მოაწყვეს ჩვენმა მეთაურებმა საღამოს ამოკითხვის შემდეგ წითელ-არმიელებთან საუბარი.

ბევრს ეგონათ, რომ საღამოზე და ისიც ამოკითხვის შემდეგ, წითელ-არმიელები გულგრილად შეხვდებიან მეთაურების საუბრებსო, მაგრამ სინამდვილეში მოხდა პირიქით.

ჩვენი არმიელები ძლიერ ხალისიანად შეხვდენ საუბარს. არავის არ უფიქრია ძილზე. ამხანაგების მეტი ნაწილი იძლეოდენ საფუძვლიან შეკითხვებს: უმთავრესად, შეღავათების სარგებლობის შესახებ; როგორ უნდა მოეხმარონ წითელ-არმიელები ხელისუფლებას სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ; ბურჟუაზიული ქვეყნების განვითარებულ ტეხნიკის წინააღმდეგ აქვს თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას საიმედო საშვალებანი და სხვა მრავალი.

ასეთი საუბრები განზრახულია ჩავატაროთ კვირაში ერთხელ. არმიელებს ძლიერ გაეხარდათ ამ აზრის მოსმენა და დიდი კმაყოფილი არიან.

პირველი საუბარი იშვიათი ნაყოფიერებით და შთაბეჭდილებით იქნა ჩატარებული. იმედია შემდეგშიაც ისინი არ გასცილდებიან არმიელთა საინტერესო საკითხების ფარგლებს.

წ.-არმ. კინგ.

## მე-6-ე ლეგიონის მე-3 ე ასეულის კომუჯრედის საქმიანობიდან.

16 აპრილს შესდგა ხსენებულ ლეგიონის მე-3-მე ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო სამპარტკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე და ასეულის მთელი შემადგენლობა. კრების დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) წარსული კრების ოქმის დამტკიცება. 2) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. 3) მიმდინარე საკითხები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სამპარტკომის წარმომადგენელი ამხ. ტრ. სალარიძე, რომელმაც გააცნო კრებას დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების საბჭოთა რესპუბლიკებისადმი დამოკიდებულება და მე-2-ე ინტერნაციონალის გამცემლური პოლიტიკა. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია. მოხსენების დამთავრების შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიდაც ასეულის მთელი შემადგენლობა ზიზღს უცხადებს მე-2-რე ინტერნაციონალის ბელადებს და იძლევა მხედრულ სიტყვას, რომ პირველ საჭიროებისთანავე მზად იქნებიან საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად

დასასრულ კრებამ სურვილი გამოსთქვა რათა ამხ. სალარაძე ხშირად გააკეთებდეს ასეთ მოხსენებებს, რასაც იმედია ამხანაგი შეასრულებს.

პარტკორი ახათიანი.

## თავხედი სპეკულიანტი-კოოპერატივის ნოქარი.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურ. სკოლაში არსებობს კოოპერატიული დუქანი. მის გამგეთ აგერ მეორე წელიწადი იქნება არის მოქ. ე. ბერაძე—ადამიანი თავხედი და ნერვებ აშლილი. სკოლის საერთო შემადგენლობას სამნეო ნაწილის პასუხისმგებლობის ქვეშ აქვს გახსნილი კრედიტი, რითაც დიდი უმრავლესობა სარგებლობს, მაგრამ ვაი იმისთანა სარგებლობას, რომ ტყავს გვაძრობს მოქ. ბერაძე თავის ჯიბის სასარგებლოთ.

მიხვალთ კოოპერატივში მოსთხოვთ სხვა და სხვა საქონელს, ისიც აგიწონის და დაგიწერს, ვ-ნ იცის რაშიდ რამდენს გახდევინებს. თუ ეტყვი რომ ესა და ეს საქონელი რა ღირს, ან ამდენი რატომ ღირსთქო,- წამსვე დორბლებს გადმოყრის და აღელვებული ყვირილით მოგმართავთ: „ვერის დამართი „ევკოგრუზის“ კანტორა, წადი და იქ მიჩივლეო“. რაშია საქმე?

რაღა ბევრი გავაგრძელოთ საჭიროა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ ის სპეკულიაციას ეწევა. საქონელს, რომელსაც ღებულობს მთავარ მაღაზიიდან არ ჰყიდის იმ ფასებში, როგორიც დაწესებულია მასზე, არამედ მეტში.

მეთვალყურე კომისიავ! ნუ გაერთობი დუქანში მარტო კანფეტების და ბისკვიტების ჭამით, მიაქციეთ ამას ყურადღება და მიღებულ საქონლის ფასები გამოაკარი თვალსაჩინო ადგილს.

აგრეთვე ალაგმე სპეკულიანტი კოოპერატორი, და თუ თქვენ ამას ბოროტებათ არ ჩათვლით, მაშინ აიძულეთ დუქნის გამგე სანისიო წიგნში ჩასწეროს არა მარტო ფულის ჯამი, არამედ რა საქონელი და რა რაოდენობის წაიღო წევრმა.

ტალღა.

## სიტყვა საქმედ უნდა იქცეს.

მეხუთე ლეგიონის წრეების გარშემო.

ხსენებულ ლეგიონში კარგა ხანია დაარსებული იქნა სხვა და სხვა ხასიათის წრეები. საუბედუროდ მეცადინეობა მხოლოდ ორ წრეში ლენინიზმის შემსწავლელ და სპორტიულ წრეებში მიმდინარეობდა—სხვებში კი არაფერი არ ისმოდა და არც ისმის.

ლენინიზმის შემსწავლელი წრე ნაყოფიერად მოქმედებს. ხელმძღვანელი ენერგიული და თავისი საქმით დაინტერესებული გვყავს.

სასპორტო წრემ კი ამ ბოლო ხანებში შეასუსტა მუშაობა. ეჭვი გვეპარება, რომ ეს მარტო უამინდობის ბრალი იყოს.

ყოველ შემთხვევაში იმედი გვაქვს წრე და მისი ხელმძღვანელი გამოაცოცხლებენ მეცადინეობას.

საჭიროა ამოქმედდებოდეს დანარჩენი წრეებიც. მარტო სიტყვით არსებობა არ კმარა. უნდა იყოს საქმე—მოქმედებაც.

სიტყვა საქმედ უნდა იქცეს. სამხკორი აბაზი.

## ლიტერატურული გასამართლება.

სიკვდილი ღმერთებს.

19 აპრილს მესამე ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაში მოეწყო ღმერთის გასამართლება.

ბრალდება შეიცავდა შემდეგ მუხლებს: 1) ღმერთი როგორც პირველი მკვლელობის მიზეზი, კაინისა და აბელის ისტორიასთან დაკავშირებით. 2) ღმერთი როგორც დესპოტი და შურის მაძიებელი, წარღვნის ისტორიასთან დაკავშირებით. 3) ღმერთი, როგორც სიბნელის მოციქულების აღმზრდელი. იყო აღნიშნული სხვა საბრალმდებლო მუხლებიც.

გასამართლება მეტად საინტერესო იყო და მრავალი საზოგადოებაც მიიზიდა.

როგორც ბრალმდებლები, ისე დამცველები საფუძვლიანად იყვენ მომზადებული. კამათში გარეშე საზოგადოებამაც მიიღო მონაწილეობა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა ყველა წაყენებულ ბრალდებების საფუძვლიანობა, ღმერთს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი. განაჩენმა ძლიერ ასიამოვნა არმიელები და ერთბაშად გაისმა მათი შეძახილი დარბაზში: „სიკვდილი ღმერთებს, ძირს ღმერთებიო.“ სამხკორი მორიელი.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი უჯრედის საქმიანობა.

25 აპრილს შესდგა პირველი ლეგიონის სამნეო გუნდისა და ბატარეის მწყობრის კომუჯრედის კრება, რომელმაც მოისმინა უჯრედის მდივნის მოხსენება 5 თვის განმავლობაში მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა დაწვრილებით აღნიშნა ყველა ის მიღწევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უჯრედის საქმიანობაში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ამხანაგმა აღმზრდელობითი მუშაობას გუნდში.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი მუშა გუნდით ივსება, და ყოველთვის დატვირთულია საქმით, სხვა და სხვა პარტდავალებები მაინც თავის დროზე სრულდებოდენ ამხანაგების მიერ. უჯრედის მიღწევები მნიშვნელოვანია. მისი თაოსნობით გამოშვებული იქნა კედლის გაზეთი, რომელშიდაც დაწვრილებით შუქდება ნაწილის ყოფა-ცხოვრება. ლენინის კუთხისათვის უჯრედს გამოყოფილი ყავს სათანადოთ მომზადებული ამხანაგი, რომელიც სისტემატიურად აწარმოებს კუთხეში ხმა მაღალ კითხვებსა და საუბრებს.

უჯრედისავე თხოვნით ასეულის თავი აწარმოებს საუბრებს მევენახეობაზე და ბაღოსნობაზე, რომლითაც დიდად არიან დაინტერესებული გუნდის არმიელები.

კრებამ აღნიშნა, რომ კომუჯრედს თავის საქმიანობაში მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობებოდა წინ, მაგრამ ყველა დაუძლევია და მისი მუშაობაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოსო.

არჩეულ იქნა ბიუროს ახალი შემადგენლობა, რომელსაც დაევალა ახკომკავშირელთა შორის მუშაობის წარმოება და სხვა. მიმდინარე კითხვებში საყურადღებო არაფერი ყოფილა.

პარტკორი გ. მარგოშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის.

### შორს უშვერი სიტყვები და უზნეო საქციელი.

28 აპრილს შესდგა ახკომკავშირის მესამე რაიკომის ქართულ უჯრედებისა და პირველი ქართული დივიზიის—პირველი ლეგიონის ახკომკავშირის ჯგუფების გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო რაიკომის მუშაობის ანგარიში.

ამხ. აზარაშვილის ვრცელი მოხსენების შემდეგ, რომელიც შეეხო რაიკომის ნაყოფიერ მუშაობას ქალთა და წითელ არმიელთა შორის გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც დამაკმაყოფილებლად სცნობდა მის საქმიანობას.

მე მინდა აღვნიშნო აქ ერთი ამხანაგ წითელ-არმიელის—მურადოვის უზნეო საქციელის შესახებ. ეს ამხანაგი არჩეული იქნა კრების პრეზიდიუმის წევრად; მიუხედავად ამისა ის მაინც ვერ იჭერდა თავს წესიერად.

ხშირად გაიგონებდით მის შენიშვნებს ამა თუ იმ მოლაპარაკე ამხანაგის მიმართ: „რას მიქარავ, ეს მიქარვაა“ და სხვა ამგვარ დაუშვებელ სიტყვებს.

რასა ჰგავს ეს? თუ ამხანაგ მურადოვს დღემდე ვერ გაუგია, რომ ჩვენი კავშირი და პარტია სასტიკად ებრძვის თავისი წევრების ასეთ საქციელს, ან არ სურს გაიგოს, ის არ არის კომუნისტის სახელის ტარების ღირსი.

დროა გადაავდოს ასეთი უზნეო საქციელი და არ გაიმეოროს შემდეგში.

ნუ სცემს წითელი არმიის პრესტიჟს.

დამსწე.

## გამონაკლისს რად უნდა შევადგენდეთ?

**პირველი ლეგ. ბატარეია.**

გასულ წელში ბანაკობის დასრულების შემდეგ, მესამე ლეგიონის ბატარეია გადარიცხული იქნა პირველი ლეგიონის შემადგენელ ნაწილად.

ლეგიონიდან შედარებით უზრუნველყოფილი ვართ, მაგრამ ზოგიერთ დეფექტებს მაინც აქვს ადგილი.

ლეგიონის თითქმის ყველა ნაწილებს დაურიგეს ზეწრები, მართალია არა სრულად, მაგრამ მაინც მისცეს. ჩვენი ბატარეია კი დღემდე არავის გახსენებია—ჩვენთვის არ მოუციათ ზეწრები. რას ნიშნავს ეს? ჩვენ რად უნდა შევადგენდეთ გამონაკლისს?

საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსმა ჩვენც გაგვიხსენოს და თუ სრულად არა, ნაწილობრივად მაინც მოგვცემდეს კუთვნილ ზეწრებს.

**ლელეს პირელი.**

## ახალი ამბები.

— **კოოპერატიული პროპაგანდა.** წარსული საანგარიშო წლის განმავლობაში სამხ. კოოპერატივის გამგეობის თაოსნობით ქართულ ლაშქარში გაკეთებული ყოფილა 38 მოხსენება, ჩატარებულა კოოპერაციის საერთაშორისო დღე და დაურიგებია 850 ცალი კოოპერატიული ბროშიურა.

— **სამხედრო ნაწილებთან** არსებულ კოოპერატიული დუქნების საერთო ბრუნვა წარსულ საანგარიშო წელში უდრის 53.443 მანეთს.

— **ქალაქის შემოსავალი.** იანვრიდან 1-ლ აპრილამდე ქალაქის აღმასკომს შემოსვლია ქალაქის სასაკლაოდან 130.927 მანეთი.

— **ნავთის დახარჯვა.** ამა წლის იანვარ-მარტის განმავლობაში ტფილისის ელექტრო სადგურებს დაუხარჯავთ 33.437 ფუთი ნავთი.

— **ბორჯომის წყალის გატანა.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა დასდო ხელშეკრულება ქალ. რიგაში (ესტონეთი) ბორჯომის წყალის გატანის შესახებ.

— **ჯანსახკომის საავათმყოფოებში.** იანვრიდან 1 აპრილამდე 2950 ავათმყოფებიდან განიკურნა 2832 ავათმყოფი და გარდაიცვალა 77.

— **სამუშაო დრო.** საქ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით 1 მაისიდან ყველა დაწესებულებებში მუშაობა იწყება 8 საათზე და თავდება 2 ნახევარ საათზე.

— **დოლის მოედნის გარშემო** მიწ. მოქმედ. განყოფილებამ დათესა 80 კვალი სხვა და სხვა ჯიშის ხეების თესლი და დარგა 2.994 ძირი ხე.

— **მცხეთის** ტფილისთან შემოერთების გამო, მცხეთის სატყეოები შემოუერთდა ტფილისის მაზრის სატყეოებს.

### შემთხვევები.

— **შტაბის საგუშაგოზე.** 1 მაისს დილის 10 საათზე ქ. წით. დრ. არმიის შტაბის საგუშაგოზე სამ ხაზიანი თოფით თავი მოიკლა წითელ არმიელმა ვაჩკანოვმა.

## სამხედრო ტრიბუნალში.

27 აპრილს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. ენუქიძის თავმჯდომარეობით განიხილა ცხენოსან ლეგიონის წ. მ. კ. ხუჭუა და საგარეჯოს მოქალაქე კოლა მეფარიანის საქმე. პირველს ბრალდება სახაზინო ქერის მითვისება და ორჯერ დეზერტირობა და ქურდობა. მეორეს პირველთან შეთანხმებით სახაზინო ქერის შეძენა. სასამართლოს ძიებით გამოირკვა: ბრალდებული ხუჭუა ირიცხებოდა რა ცხენოსან ლეგიონში დასახელებულ ნაწილის ბანაკად ყოფნის დროს, ეზიდებოდა სახაზინო ქერს სადგურ საგარეჯოდან სოფელ საგარეჯოში. სახაზინო ქერი დაახლოებით 2 ნახ. ფუთი მიყიდა საგარეჯოს მოქალაქეს კოლა მეფარიანს. 1923 წლ. 23 ივლის ბრალდებულ ხუჭუამ თავის ნებით მიატოვა სამხედრო ერთეული, დაჰყო ნაწილის გარეშე ი. წ. ოქტომბრამდე. ნაწილში ყოფნისას ხუჭუა იყო შემჩნეული ერთი წყვილი ბათინკების ქურდობაში, მაგრამ ასეთი სასამართლომ არ სცნო დამტკიცებულად, რაც მას მოეხსნა 1924 წლის 7 აპრილს. ბრალდებული ხუჭუა ხელმეორედ გაიქცა ი. წ. 12 აპრილს და თავის ნებით დაბრუნდა ნაწილში. მოქალაქე კოლა მეფარიანს ბრალი ედებოდა მასში, რომ შეიძინა წ. მ. ხუჭუასაგან სახაზინო ქერი 2 ნახ. ფუთი. ბრალდებულმა ხუჭუამ და მეფარიანმა იცნეს თავი დამნაშავეთ მათზე წაყენებულ ბრალდებებში გარდა ბათინკების ქურდობისა, რომელშიაც ბრალდებულ ხუჭუამ არ იცნო თავი დამნაშავეთ.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მათ: ბრალდებულ ხუჭუას თავისუფლების აღკვეთა განსახლში მოთავსებით ერთი წლის და ორი თვის ვადით და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია.

ბრალდებულ მეფარიანს სასჯელი მოეხსნა, რადგან მისჯილი ამ ვე მოქმედებისათვის ტრიბუნალის განაჩენით თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით ორი წლის პირობითი სასჯელათ შეეცვალა.

**გნია.**

## პასუხი შეკითხვაზე.

**კითხვა:** როგორც 1902 წელს დაბადებული გაწვეული ვარ წითელ ჯარში. მე დამრჩა სახლში მოხუცი დედ მამა და მათი მარჩენალი არავინ არ არის. ამბობდენ დედის ერთის გაანთავისუფლებენო, არ ვიცი ეხლა როგორაა საქმე გარდა ამისა, როგორც გავიგე სახლში დარჩენილ დედ-მამას არ აქცევენ ყურადღებას, როგორც წითელ არმიელის მშობლებს.

გთხოვთ გვაცნობოთ ამის შესახებ ვის მივმართოთ.

**წ. არ. ყოჩიაშვილი.**

**პასუხი.** როგორც დედის ერთა სამსახურიდან ვერ განთავისუფლდებით. დახმარების შესახებ ლეგიონის უფროსმა შუამდგომლობა უნდა აღძრას ადგილობრივ აღმასკომის წინაშე.

## საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების არსებობის ერთი წლის თავზე.

დღეს 3 მაისს შესრულდა ერთი წლის თავი დღიდან სრულიად საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების დაარსებისა.

საზოგადოების წარსული წლის მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

1) შეგროვება ფულის თვითმფრინავების შესაძენად (საფასურად).

2) ფართო პროპაგანდა საქართველოს მშრომელთა შორის, უმეტესად კი ახალგაზრდობის ჩაბმა ავიო-სპორტში.

3) ფართო მომზადება მშრომელთა შორის სისტემატიური მუშაობით ავიო-უკოდინარობის მოსასპობად.

საზოგადოებამ თავისი მუშაობა გაშალა ს. ს. ს. რესპუბლიკაში შემავალ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში გარდა სამი მაზრისა: რაჭა, ლეჩხუმი და ლიუქსემბურგი (ყოფ. ბორჩალო), რომლებშიაც ჯერ მუშაობა არ დაგვიწყია. საზოგადოებამ შეიძინა თვითმფრინავი „თბილისის მუშა“ და გადასცა 8 ნოემბერს 1924 წ. პირველ ლენინის ესკადრილიის მოსკოვში.

ამ ჟამად შეკვეთილია მე 2-ე თვითმფრინავი.

ერთ წელში გამოუშვით ორჯერ ავიოკურს დამთავრებული ამხანაგები, რომლებიც მოვიხმარეთ აგიტაცია-პროპაგანდისთვის და ავიო-წრეების ხელმძღვანელებათ.

ამ ჟამად მუშაობს 35 მოდელური პლანერული წრეები, რომლებშიაც ირიცხება 900 მშრომელი ახალგაზრდა

საზოგადოებამ მოაწყო ხუთჯერ მოდელური შეჯიბრება.

თფილისის მოდელისტებმა პირველობა მიიღეს ევროპის მოდელისტებში და გადააჭარბეს მათ რეკორდს.

საზოგადოებაში ირიცხება 37,572 წევრი, 357 უჯრედი, 45 ავიო-კუთხე.

საქ. ს. ფ. მ. ს. პრეზიდიუმის მიერ გამართულ მოხსენებების და ლექციების რიცხვი უდრის 500. ვრცელდება ლიტერატურა როგორც რუსული ისე ქართული.

14 ივლისისათვის ა. წ. (ავიაციის სადღესასწაულო დღეს) საზოგადოება გამოუშვებს ქართულ ენაზე 10 წიგნს.

წარსულ წელში საზოგადოებამ მოაწყო საჰაერო ნათლობა თვითმფრინავ იუნკერსზე და სამხედრო თვითმფრინავებზე აიყვანა საზოგადოების 355 წევრი.

ამ წელში საზოგადოებას განზრახვა აქვს მოაწყოს გაფრენები მაზრებში აგიტაციის სახით, და ზემო სვანეთში მეცნიერული მიზნით.

საზოგადოებამ აიღო შეფობა კავკასიის საჰაერო რაზმზე, რომელსაც ყოველ თვიურად აძლევს მატერიალურ დახმარებას, აძლევს აგრეთვე უფასოდ ლიტერატურას.

**მომავალი წლის ამოცანები:**

1) შესრულება რ. კ. პ. მე XIII-ე პარტყრილობის დადგენილებისა 3.000.000 წევრის შეძენისა 14 ივლისისათვის, აქედან საქართველოს ხვდება 100.000 წევრი.

2) მუშაობის გაფართოება გლეხთა—შორის ავიაციონური უცოდინარობის მოსასპობად.

3) აუცილებლად უნდა მოვაწყოთ ყველა მაზრებში ჰაეროდრომი.

4) მაზრებში საგიტაციო გაფრენების მოწყობა.

5) მოეწყოს ლეჩხუმის, რაჭის და ლიუქსემბურგის მაზრებში საზოგადოება.

6) მშრომელთა მოსახლეობის ყურადღების მიპყრობა ჩვენი საშეფო კავკასიის 47 საჰაერო რაზმისაკენ მისი პოპულია რიზაციის მიზნით.

7) ქართული ლიტერატურის გამოცემის მოგვარება.

8) სასპორტო მუშაობის უმეტესად მაზრებში, გაღრმავება და ხელის შეწყობა.

9) განათლების კომისარიატან შუამდგომლობის აღძრა მე II ე საფეხურის სკოლებში ავიო-საათის შემოღებისთვის.

10) გაიხსნას საჰაერო კურსები მაზრებისათვის.

ამ ლოზუნგის ქვეშ უნდა ჩატარდეს საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების არსებობის წლის თავის დღესასწაული.

ინსტრუქტორი: **ბარამიძე.**

## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 14.**

მაგიდაზე აწყვია 100 ღერი წუმწუმა. თამაშობენ ორი კაცი, მაგრამ ისე, რომ თითეული მათგანი რიგ-რიგობით იღებენ ერთიდან ათამდე;—პირობით წაგებული დარჩება ის, რომელსაც მოუწევს უკანასკნელი წუმწუმის აღება მაგიდიდან.

ორ მოთამაშეში ის დარჩება წაგებული, რომელიც პირველად აიღებს წუმწუმებს, თუ რა თქმა უნდა მეორემ იცის საიდუმლო-რამდენ-რამდენი წუმწუმა უნდა აიღოს.

რატომ?

## ამოცანების გამოყვანა.

**ამოცანა № 9** სისწორით გამოიყვანა პირველი ლეგიონის 1-ლი ასეულის მოლაშქრემ გიორგი კოპალეიშვილმა. ბრიყვი კაცი მოუნდებოდა ხალიჩის გავლას 43 წუთს.

**ამოცანა № 11.** სისწორით გამოიყვანა წ. მოლაშქრემ ივანე ლომიძემ. მესაათე წააგებდა სულ 100 მანეთს.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

## განცხადებები

### ვის აქვს საწინაამდეგო?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 2 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხ. 1. იოსელიანი ლეონტი დიმიტრის-ძე. 2. ყიფიანი შალვა გიორგის-ძე და 3. ლომთაძე ვალერიანე ნიკოლოზის-ძე. ა. ლ. კ. კ. წევრებია.

**კომპარტიის კანდიდატები.**

1. კაცაძე შალვა ლუკას-ძე, 2. ბერიძე სერგო ფარნაოზის-ძე, 3. შანიძე ტაშდან დურსუნის-ძე და 4. ქარაზანიშვილი პლატონ ლუკას-ძე.

ზემო ჩამოთვლილ ამხანაგების შესახებ თუ ვინმეს რაიმე საწინაამდეგო აქვთ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით. (ვაკე) ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლა.

უჯრედის პასუხის-მგებელი მდივანი: **კ. სოხაძე**

პირველი ლეგიონის 4-ხე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ ამხ. იოსებ დავითის-ძე ბერძენიშვილს. ვსთხოვთ, თუ ვინმემ, რაიმე უარყოფითი იცის ამხანაგის შესახებ გვაცნობოთ ლეგიონის მეოთხე ასეულის კომუჯრედში.

მდივანი **ვაშაკიძე**

სამხედრო სკოლის ბიურო კოლექტივი აცხადებს იმ ამხანაგების სიას, რომლებსაც პირველ, მეორე, მესამე და მეხუთე უჯრედებში აქვთ შემოტანილი განცხადება ა. ლ. კ. კ. მიღების შესახებ.

1 მაქაძე გედევანი, 2 გოგსაძე ვარლამ, 3 ოლფრამ ლევანი, 4 დარბაისელი დავითი, 5 ჩიქოვანი შალვა, 6 დოლიძე შალვა, 7 ლაღიძე გრიგოლი, 8 ლორთქიფანიძე მიხეილ, 9 თალაკვაძე ვლადიმერ, 10 შავიშვილი დურსუნ (აჭარელი), 11 მეგრელიძე იუსუფ, 12 ბეჟანიძე რუსეინ, 13 ვერულიძე ახმედ, 14 ბაჯელიძე ასლან, 15 მაჩიტაძე გიორგი, 16 ბუხრაშვილი მიხეილ, 17 ვაჩნაძე შალვა, 18 თავაძე ექვთიმე, 19 ტაპიძე შალვა, 20 რუხაძე კლემენტი, 21 გვრიტიშვილი, 22 მჭედლიშვილი გიორგი, 23 საყვარელიძე ბესო, 24 კვალიაშვილი კონსტანტინე, 25 ხორავა ლეონიდე, 26 მიქელაძე ვალერიანი, 27 აკოპოვი სურენ, 28 ხარჩილაძე ვისილი, 29 რუხაძე აკაკი, 30 საჯია ალექსანდრე, 31 ჯაფარიძე ნესტორი, 32 მისრაბიძე სამსონი. 33 ისმალიანი ივანე, 34 ოთარიშვილი ვლადიმერ, 35 კუარაშვილი შალვა, 36 გვასალია შალვა, 37 ქერიძე რაფიელ.

ზემო ჩამოთვლილ ამხანაგების შესახებ თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცის, რის გამო არ შეიძლება მისი პარტიაში მიღება, ვსთხოვ გვაცნობონ.

ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა.

ბიურო კოლექტივის მდივანი **ვ. ბერიძე.**

**დაიკარგა** მეტრიკული ამონაწერები მიხეილ ალექსანდრეს-ძე, ივანე, დიმიტრი, ალექსანდრე, ელისაბედ ალექსანდრეს ასულის და ევგენია ალექსანდრეს ასულის ჯალაშვილების სახელზე გაცემული: № № 3479; 7046; 2191; 1891; 1709; 4210 და 4210.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

### შეცდომით პირველ ქართულ ლეგ.

უნცროს მეთაურთა სკოლაში ჩემს სახელზე დაუტოვებია ვიღაცას ამანათი და ხუთი მანეთი ფული.

ამანათი მე არ მეკუთვნის. ის ზუმბაძე იმყოფება პირველ დივიზიის სამნეო გუნდის სკოლაში.

ვსთხოვ ამ ამხანაგს მოაკითხოს აღნიშნულ სკოლაში სამაისამდე. შემდეგ პასუხისმგებელი აღარ ვიქნები.

უნცროს მეთაურთა სკოლის წ. არმ. **იპ. ზუმბაძე.**



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.